დავით ლორთქიფანიძე

დაიბადა 5/08/1963 წელს ქალაქ თბილისში, ქართველი, უმაღლესი განათლებით.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფის სპეციალობით (1985). 1997 წლიდან მუშაობს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში განყოფილების გამგედ. 2002-2004 წლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილედ, 2004-2005 წლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად, 2005 წლიდან დღემდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორია.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (2001), დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და პრემიით, მათ შორისაა: საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენი (2011), საფრანგეთის ღირსების ორდენი (2006), საქართველოს ღირსების ორდენი (2001), საფრანგეთის ორდენი „Palmes Academiques” (2002), როლექსის ჯილდო ინიციატივისთვის (Rolex Award for Enterprise (2004)), ლინჩეის ეროვნული აკადემიის ჯილდო „ფაბიო ფრასეტოს“ საერთაშორისო პრიზი, იტალია (Award of the Accademia Nazionale dei Lincei“Fabio Frassetto” International Prize, Italy (2008)), ლეო დავითაშვილის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემია (2013) და სხვ.

მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ეროვნული მუზეუმის სტრატეგიული გეგმის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს დაწესებულების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინსტიტუციურ ტრანსფორმირებას და მასში შემავალი მუზეუმების რეაბილიტაციას. ამჟამად განახლებულია ექვსი მუზეუმი.

მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მასშტაბური საერთაშორისო სამუზეუმო პროექტი, რომელიც გულისხმობდა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობას პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის შემადგენლობაში შემავალი ბერლინის მუზეუმების გაერთიანების მიერ.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს ჰომინიდების ევოლუცია და ბუნებრივი გარემოს ისტორია.

გამოქვეყნებული აქვს 125 მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში.

არჩეულია ევროპის აკადემიის წევრად (2010);

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (2009);

მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპული აკადემიის წევრად (2009);

ხელოვნების და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის წევრად (2008);

გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად (2007);

ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური აკადემიის უცხოელ წევრად (2007)